



— სანა —

№ 14 (1336) ივლისი 1970

# საქსა

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კპპ.



— მაგი, ორიანი მივიღე, ხალხი გარეთ არ მიშვებს და ღვრჩე?



— გაბუა, მამ გალიფთი ბინდა თბილისში  
 წამოყვებ?  
 — კროტმატორაგი, შვილო, შარვლის სიფარ-  
 თის ჯიბისთან უყურებენ, კოჭთან კი არა!

## საქმენი გულდრკუნთა და გონებაბრჯბუნთა

„ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის  
 თქმად“.

**სახელოვანმა** დავით აღმაშენებელმა გელათის დიდებულ-  
 ლი ხუროთმოძღვრული ქმნილებანი „აღაშენა ადგილსა ყოვ-  
 ლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა... მეორედ იე-  
 რუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად  
 სწავლულეებისად, სხუად ათინად“.

რა თავზარი დაეცემოდა „ქართვის ცხოვრების“ ამ პასაჟის  
 ავტორს (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს), ახლა რომ ფეხ-  
 ზე წამოდგებოდეს და თავისი თვალით იხილავდეს გელათის  
 შემოგარენს, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენს „ადგილსა  
 ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა“: ზედ გე-  
 ლათის კართან, სოფელ მოწამეთის თავზე, წამომართული მშვე-  
 ნიერი, ზურმუხტნაფენი მთისათვის თავი წარუკვეთიათ და  
 მკერდი გამოულადრავთ!

ჩემო მკითხველო, ამჯერად ნუ აღემართები შესაჩვენებლად  
 ჩვენი სამშობლოს მიწყივ მტერთადმი, — არც მონღოლნი, არც  
 თურქნი და არც ერანელები არ არიან ამის მოქმედნი, არამედ  
 გელათის სამტროდ, მის დასაქცევად და ასაოხრებლად ჩვენი  
 თანამედროვე ჩვენებურები ამხედრებულან. ამხედრებულან  
 თანამედროვე ტექნიკის მთელი აღჭურვილობით: გრიალებენ  
 ლალუმები, რანჩახებენ ბულდოზერები, გუგუნებენ თვითმც-  
 ლელი ავტომობილები. განუწყვეტელი აფეთქებანი აზანზარე-  
 ბენ გელათს...

საკმარისია მოწამეთაში უტხო კაცად შეგიცნონ და წამსვი  
 ყოველი ოჯახიდან მოარბენინებენ აფეთქებისაგან დაღიწილი  
 მინებით სავსე ყუთებს, ამ სოფელში ჩამოცვენილ ქვათა ნაპ-  
 სხვრევებს, ან კიდევ მიგანიშნებენ ლალუმთა დეტონაციისაგან  
 დარღვეულ სახლთა კედლებზე. თურმე ერთადერთი „საშუალე-  
 ბად“, — რამეთუ მცხოვრებლებმა სახლ-კარი დანგრევისაგან  
 გადაარჩინონ, — ურჩევს, კარ-ფანჯრები დღე-ღამეების გან-  
 მავლობაში ღიად ჰქონდეთ.

აქაურები ამბობენ, ჩვენ თუ არ გვზოგავენ, გელათის ძეგ-  
 ლებს რაღას ერჩიანო; თურქ-სპარსობას გადაურჩა და ჩვენ  
 ვანგრევთ? რა გახდა ასეთი ეს უბრალო ქვის საბადო (რომლის

მსგავსი მრავლადაა ჩვენში), რომ მის „ძიებას და მოპოვებას“  
 გელათის ტაძრები და აკადემია გამსხვერბლოთო.

მართლაც და, რა გახდა ასეთი? ვინ არიან ეს უგულო ადამი-  
 ანები, რომელთაც ქართული კულტურის უბრწყინვალესი მემ-  
 კვიდრეობა ასე უწყალოდ გაუწირავთ?!

უკვე ცვივა კარნიშები გელათის ტაძრებიდან და აკადემიის  
 შენობიდან, უკვე დეფორმაციაქმნილია მთავარი ტაძრის და-  
 სავლეთი კედელი, საიდანაც ქართულ სამეუფო პასტოფო-  
 რიონს პირდაპირი დამიზნებით ეკვეთება ხოლმე დეტონაცია.  
 უეჭველი ჩამონგრევა ელის მსოფლიოში უნიკალურ გელათურ  
 ფრესკას...

მრავალგზისი საჩივრის საპასუხოდ ერთ-ორჯერ სეისმო-  
 ლოგთა კომისიაც ეწვია გელათს. ლალუმთა გრიალიც ისმინეს.  
 ძეგლებსაც „პულსი გაუსინჯეს“, მაგრამ რა?

ერთმა მათგანმა ასეთი ეჭვები გამოთქვა:

„ვითომ იმ აფეთქების ბრაღია, რომ ეს კარნიშები ჩამოცვე-  
 ნილა და ეს კედლებიც დაღმეჭილა? ანდა, ხომ შეიძლება, რომ  
 ასეთი ჰაერის რხევამ გელათი ვერ წააქციოს? კიდევაც რომ წა-  
 იქცეს, ვერავინ დაამტკიცებს, რომ ეს, მაინცდამაინც, იმ აფეთ-  
 ქების ბრაღი იქნება!“

სხვათა შორის, კომისიების წევრის დღეებში აფეთქებანი ჩვე-  
 ულებრივ კლებულობენ. ეს ოინიც კარგად იციან გელათელებ-  
 მა და მოწამეთელებმა.

სწორედ იმ დღეს, როცა „ლიტერატურულ საქართველოში“  
 გამოქვეყნდა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას წერილი —  
 „შევიწინარჩუნოთ გელათი!“ — გელათის მისადგომებთან გან-  
 საკუთრებული სიმძლავრით ატყდა ლალუმთა გრიალი..

მას შემდეგ კვლავაც გრიალებენ ლალუმები, ზანზარებენ გე-  
 ლათური ნელთუქმნელი ძეგლები და ელოდებიან... დანგრევას  
 ან შველას!

ლევან სანიკიძე,  
 ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

# გასანიუნავი შვილული და შვილი კილოვებრი უარტალი

მაშ, არ იცნობთ მორდეს მენახის ძე კაკიაშვილს? აი, გორში რომ ცხოვრობს. „ვოლგა“ რომ აქვს, სამსართულიანი სასახლე რომ უდვას, პირი ოქროთი რომ აქვს გამოტენილი.

პირველი გილდის ვაჭარს — კაკიაშვილს რომ ჰკითხოთ: მორდეს, სამსართულიანი სასახლე ან „ვოლგა“ საიდანო, გიპასუხებთ: ბაბუასეული სახლი გავყიდე სოფელში, მამის ქონებაც ზედ მივყიდე, აბა, მე სად შემიძლია, ქურდი არა ვარ და ყაჩაღი, ეს სახლი და „ვოლგა“ ათი კაცის წილიაო.

ქურდი არა ვარო? ეს რა თქვა მორდესმა!

თვალი დაადგა კაკიაშვილმა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატს, სადამოობით აუვლიდა და ჩაუვლიდა ხოლმე ამ გიგანტს და სევდანარევი ხმით ლილინებდა:

„უნდა ვითხრათ მართალი, შემეყვარდა ფართალი, ადანდალი, დანდალი!..“

მორდესის ეს უჩვეულო ბორიალი კომბინატის გარშემო მხედველობიდან არ გამოჩნა დაცვის უფროსს — რომან გიორგის ძე თედევს.

— რა გაწუხებს, კეთილო კაცო, აგრე რამ დაგაღონა? — ჰკითხა ერთხელ რომანმა მორდესს.

— ეეჰ, — პასუხად მხოლოდ ამოიოხრა მორდესმა.

— იქნებ, გიჭირს რამე ან შეყვარებული ხარ, მითხარი და მიმსახურო! — არ ეშვებოდა თედევსი.

და გახსნა თავისი ოქროს პირი მენახის ძემ. იცოდა კაკიაშვილმა, რომ

ბრიყვებში თვალთმაქცობას ფანტასტიკური ძალა ჰქონდა და ისეთი კომბინაციების პროექტი დახაზა, აღტაცებული თედევსი მორჩილად შეჰყურებდა მაქინაციების დიდოსტატ მორდესს.

— ხუთი ერთგული კაცი მყავს, მეექვსე მე ვარ, მეშვიდე კი შენ იქნები, მენი კენესამე! — უთხრა თედევსმა მორდესს და მარჯვენა ისე მოუჭირა მარჯვენაზე, რომ კაკიაშვილმა კინაღამ დაიკვივრა. შემდეგ კი განაგრძო: — საქმეში გასული ხუთივე კაცი ფართლულით დატვირთულ ავტობუსს მოგაყენებენ ხიდისთავში, ახალხიზანში, რუისში, კეხიჯვარში!

— აგამენოს ღმერთმა, ახლა კი ვაფასებ შენი გონების გამჭრიახობას! ჯერჯერობით, — ეს 500 მანეთი იკმარე! — და 50 ცალი ათმანეთიანის კონა წამოსახამის გარეთა ჯიბეში ჩაუტურა.

საქმეს შეუდგა რომანი. დატრიალდნენ ერთგული კაცები: როინ ხუციშვილი, გიორგი გელიაშვილი, ყაზბეგ გაზიევი, გიორგი ხმიადაშვილი და სიმონ პურიჭამიაშვილი — პურის ჭამისა და კარგი ცხოვრების მოტრფიალენი.

პირველ ოპერაციაში მონაწილეობდნენ მხოლოდ გიორგი გელიაშვილი და როინ ხუციშვილი. მათ 2834 მეტრი ქსოვილი „დააძვრეს“ კომბინატიდან.

ეს მოხდა ა. წ. იანვრის დამდეგს.

როინ ხუციშვილი ვადარია პირველმა წარმატებამ, და რომ არავინ ყოლოდა მოცილე, ერთი კვირის შემდეგ მარტოკამ გადაიზომა 989 მეტრი ფართალი.

კაკიაშვილის კომპანიონები სრული დატვირთვით მოქმედებდნენ. მარტო ერთ დღეს, თვით დაცვის უფროსმა, იგივე რომან თედიაშვილმა, თავისი ღო-

ხიერი მკლავებით 8735 მეტრი ფართალი დაუღო ავტობუსს. არც დანარჩენი ხუთი „ერთგული კაცი“ იყო გულზე-ხელდაკრეფილი და გიორგი ხმიადაშვილზე გაპიროვნებულ ავტობუსში ერთიმეორეზე აწყობდნენ თავიანთი ხელმძღვანელის მიერ ნაბოძარ ფართლის თოფებს.

ავტობუსმა, რომელიც ვენეციელი ვაჭრის ხომალდივით იყო დატვირთული, კურსი ლიახვის ხიდისკენ აიღო. საბედისწერო აღმოჩნდა ეს რეისი კომპანიონებისათვის. მათ მთასავით აღუდგა შუა გზაზე გორის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ალექსანდრე კუნელაური და მისი თანამშრომლები.

უსიტყვო კაპიტულაცია!.. თავდახრილი კომპანიონები!..

ალიონზე მორდესი გააღვიძეს. მისი სარდაფიდან 1242 მეტრი ქსოვილი გამოიტანეს და წინ დაუდეს.

— ვაჰ, აქ საიდან? — გაიკვირვა კაკიაშვილმა, — ყველაფერი გამიგია, შეიძლება გაგძარცვონ, მაგრამ ვინმემ ისე მოგიტანოს რამე, რომ არ გაგაგებინოს, ჯერ არ გამიგია.

ახლაც უარზეა კაკიაშვილი, რა ფართალიო, რის ქსოვილიო. ხოლო კომპანიონები კი მეჭორე ნათლიდებებივით მოდგნენ ერთმანეთს და აღარ ინდობენ არც ერთმანეთს და, რა თქმა უნდა, არც მორდეს კაკიაშვილს.


მენახის ძე კი დუმს და დუმს, აქაო და დუმილი ოქროაო. ვაჰ, რომ ოქროს მუშტრებთან არ მოხვდა პირველი გილდის ვაჭარი!

შალვა ვანიშვილი



ნახ. მამია მაღაზონიასი

— რევიზია მოდის ჩვენთან!  
— მოვიდეს მერე, მე სუფთა კაცი ვარ!  
— სისუფთავეს კი არ ამოწმებენ...



ნახ. ვ. ლოლუასი

— ყველაფერს ხუთმაგი ფასი დაკავდა და კვან მინც ვერ გამოვულივ ვული!



## იკითხეთ თუ არა თქვენ?

...რომ თბილისში, შემოსავლის ქუჩის №8-ში მცხოვრებს, 1968 წელს ოჯახიდან გაქცეულ სარქის ოჯახს „დაავიწყდა“ ორი მცირეწლოვანი შვილი და მათზე განკუთვნილ ალიმენტს არ იხდის?

...რომ ქობულეთში, ლენინის ქუჩის №832-ში მცხოვრებ თამაზ რომანაძესა და ჩაისუბნელ თამაზ გორგილაძეს დასასვენებელი სახლის — „ქობულეთის“ წინ უქმად მდგარი ახალთახალი „ვოლგა“ №11—81 თვალში არ მოუვიდათ, წაიყვანეს და, დაბა ნატანების ახლოს, ღრმა თხრილში გადააგდეს?

...რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის კოლმეურნეობის მოანგარიშე იდათ სულემანაძემ, ხორბლის მიღების შემდეგ, უწყისში პირწმინდად ამოშალა თავისი ხელმოწერა და 345 კილოგრამი ხორბლით პირი გაიუწმინდურა?

...რომ თბილისში, ურეკის ქუჩის №28-ში მცხოვრებს, მე-17 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს, შეზარბიანებულ პეტრე მიხეილის ძე კოტოვს, ღამის 3 საათზე, ვაგზლიდან შინ ფეხით წასვლა დაეზარა, ორჯონიკიძის ქუჩაზე მდგარ მე-9 მარშრუტის ტროლეიბუსის ბიუჯეტი აუშვა, საჭეს მიუჯდა და გზას გაუდგა?

...რომ საჩხერეში საბჭოს ქუჩა 60 ნომრამდე მოასფალტებულ-მოპირკეთებულა, ხოლო 60 ნომრის შემდეგ — ოღორიოღორა და გაუვალა?

### გაიოჯ თეთრარაზავილი

## მოგზაურობა დილოში

მე და ჩემი მეუღლე დილოში გასამგზავრებლად მოვემზადეთ. სახლიდან გამოვედით და ტაქსს დავედარაქდით.

— მოვეშვით ამ ტაქსს, უმჯობესია, ტროლეიბუსით ვაგზლამდე ავიდეთ, იქ მეტროში ჩავჯდეთ და თავი დიდუბეში ამოვყოთ; იქიდან კი 25-ე მარშრუტის ავტობუსით ავგრიალდეთ სოფელში, — წამოაყენა რაციონალიზატორული წინადადება ჩემმა მეუღლემ.

— რას ამბობ, ქალო? ამდენ გადაჯღომ-გაღ-

მოჯღომში მთელი დღე გაილევა, ტაქსი კი 15 წუთში აგვასრიალებს სოფელში. დრო დავზოგოთ, დრო! — ვურჩიე მე.

— დრო კი არა, ფული დავზოგოთ. ტაქსი ჩვენს სახლამდე მანეთსა და 25 კაბიკს წერს. წენი ამბავი რომ ვიცი, 2 მანეთზე ნაკლებს ხომ ვერ მისცემ? მისცემ და, შემოგაგინებს. უტაქსოდ, სამ შაურად, ლანძღვის გარეშეც ავალთ! — მითხრა და დამიყოლია კიდევ (ცნობისათვის: მე უფასო მგზავრობის საბუთი მაქვს).

მართალია, ტროლეიბუსითა და მეტროთი მგზავრობით დრო არ დავგიკარგავს, მაგრამ 25-ე მარშრუტის ავტობუსის ლოდინმა, შემდეგ კი იმით მგზავრობამ 2 საათზე მეტი დავგაქარგვინა. როგორც იქნა, მივალწიეთ დილოში. ცოტა შევისვენეთ, ნათესავები მოვიკითხეთ და, საღამო ხანს, ისევ თბილისისკენ წამოვედით. მაგრამ ვაი ასეთი წამოსვლა!

ჯერ იყო და, ავტობუსის ლოდინმა გავეწვიოლა გული, მერე კი მგზავრობამ სულ მთლად მოგვითავა ხელი.

— რა ამბავი, როგორ მირახრახებ, წესიერად ვერ წაიყვან? — წამოიძახა ერთმა.

— რა ჩემი ბრალია, გზა არ ვარგა. — ჩაილაპარაკა მძღოლმა.

— სად იპოვეთ ეს დანჯღრეული მანქანა, საცა ავტობუსი მოძველდება, მაინცდაშაინდ დიღმის ტრასაზე უნდა გაამწესონ? — კითხულობს ჩემი მეუღლე.

— რა ექნა, ქალბატონო, რა ჩემი ბრალია, მეც ხომ თქვენსავით ვინჯღრევი? — დაიმორცხვა მძღოლმა.

— რა ჩამოგვიტანეთ სოფლიდან? — სახლში შესვლისთანავე მოგვაძახეს შვილებმა.

— მაწონი, რძე, ბოსტნეული. — უბასუხა დედამ.

ერთი რძეს ეცა, მეორე — მაწონს, მესამემ ბოსტნეული გადაქეჭა.

— სადაა მაწონი? ესაა მაწონი?

— რძე სადაა? ეს ხომ შრატია?

— შრატია კი არა, კარაქია, ახალი, ავტობუსში გამოყვანილი, გემო გაუსინჯეთ, დანაყრდით, შემდეგ კი დოც დააყოლეთ, არც ეგ არის ცუდი! — მოუწოდებდა შვილებს.

გულში კი გავიფიქრე: ფიქრობს თუ არა ვინმე თბილისსა და დილოში შორის, ორ მტკანელ გზაზე, მგზავრობის მოწესრიგებისათვის და, თუ არ ფიქრობს, არავინ არ უნდა აფიქრებინოს?

### ვასილ ხმალაძე

## ალკა დევერა

ამა წლის 1 ივნისს ქიათურის მარგანტრეტის ადმინისტრაციის განყოფილების უფროსმა პავლე ტაბატაძემ აბაშაში, ორჯონიკიძის ქ. №56-ში მცხოვრებ ჩოჩიას გაუგზავნა ელვა დევერა, რომელიც ადრესატს 3 ივნისს მიუტანეს. აბაშის საფოსტო განყოფილებამ ქიათურაში გამოაგზავნა დევერა, რომლის ტექსტი უცვლელად მოგვაქვს:

„ჩიატურა ბრ გვედაწეს ჩიატურა 52 ჩტ ბლმ8 აბაში 602/19 28 5 0880.

-024 4/6-ტკვენი 22 1/6 ორდუონიკიღზის 56 ჩოჩიას სახელზე შემოსულია 1/6 1610 სოფლის დამტარებელი ცასული იკო დატარებაზე 2/6 ისვენებს დამტარებლები ჩაბარდა 3/6 პირადად-ეკსპ გაბეღია“.

ქიათურიდან დევერა ვფრინე აბაშისაკენ, ვიჭექი, პასუხს ველოდი, თვალები მქონდა გზისაკენ. მომქანცა ცდამ და ლოდინმა, დამადნო გულის ფრიალმა. პირველში „ელვა“ „დავურტყი“, სამში იქუხა ტიალმა!

მე რა ვიცოდი, ქუხილი რომელ ტალღაზე მოჰქროდა, ან ფოსტალიონს 2 რიცხვში „გამოსასვლელი“ რომ ჰქონდა? პავლე ტაბატაძის გულისწყრომა გალექსა

### სერგო აბაიშვილი

## საქაშალო უნქოს

უნდა გაცნობოთ, რომ რეკორდი საბურთალოს მასივში მცხოვრებ გერონტი ხახამ-შრალაძისა, რომელიც ექვს თვეს ძლებს უწყლოდ, მოხსნა მცხეთის მეორე შესახვევში მცხოვრებმა აქვსენტი მწყურვალაძემ. აქვსენტი მთელი წლის განმავლობაში ძლებს უწყლოდ.

გთხოვთ, დაამტკიცოთ აღნიშნული რეკორდი!

### მცხეთის მეორე შესახვევის მცხოვრებნი

დათვის ცვრიან მწვადებს, თან მელის სიგყვა სამეგობროდ ანთებს: „როგორ გემგერება მაინც ყველა მხეცი, მე არ მიფიქრია მგრობა თავის დღეში. მე არც ცოცხალს გერჩი, არც მსურს შენი ლეში, ისევ მირჩენია, მომკლან საქათმეში. წამოგყვები სოფლად და თან გავყვი მართალს. ყველაფერ ამაში მომცემ ერთ კარგ ქათამს. შენ კი იგყვი ხალხში: ვინადირე დათვზე, და გემრიელ მწვადებს შეწვაგ ბუნრის ალზე!“ „კარგი“, — ეთანხმება მონადირე ქველი. ადგნენ, წასასვლელად მოიღერეს ყელი. მონადირეს თოფი მელას მღერით მიაქვს.


თან ლულიდან ჩუმად ამოიღებს გყვიას, მაგრამ ეს რა მოხდა, რამ იქუხა ერთხმად? წამოვიდა ჟეთი, გრიგალი და სეგყვა. მათ წინ შეიმართა ელვასავით ზებრა. და შეჰყვირა: „სად ხართ? მომკლა თქვენმა ძებნამ!“ მელა გასაქცევად უცებ გადაგა განზე, მაგრამ მგლის ლეკვებმა დააგყვივეს წამსვე. სანქცია კი ზებრამ წაიკითხა ხელად: „კანონის სახელით ვაპატიმრებთ მელას! და ვუბრძანებ კაცსაც, ამ ამბავის მოწმეს, — ურჩენია, სწორი ჩვენება რომ მოგვცეს. გვითხრას, მისი თოფი მელას როგორ ანდო,

ვინ გაწყვიტა ასე ჯუნგლის საბეღალო?“

\*\*\*

სასამართლო მიდის მოხერხებულ მკვლელის, — ვინც გასწირა ლომი, ვეფხვი, დათვი, მგელი. ზის და თვითონ მკვლელსაც ეს ამბავი უკვირს: „ვინ ამოსწყვიტავო დიდკაცობა ჯუნგლის?“ შემორაგულ სკამზე პატიმარი დეღავს. სასამართლო მიჰყავს მოხუც სირაქლემას. სირაქლემა დამცველს — თეთრ დათვის სიგყვას აძლევს. ადგა თეთრი დათვი, სუფთად გაპარსული. რა რუსული გინდა, ანდა რა სპარსული! სულ წყალივით მოდის მარგალიტის სიგყვა, მაგრამ სირაქლემას

განა ესმის? ყვინთავს. თეთრი დათვი ამბობს: „სიამაყე მავსებს, ასე რომ აფასებთ დღეს სიმართლის დამცველს“. სირაქლემას ესმის, რომ უქებენ სახელს და თვალს ზრდილობისთვის ოდნავ მაინც ახელს. თეთრი დათვი ისევ შესცივინებს თვალში. მარტო მელა ხვდება თავის დამცველს გაშით. „ხედავთ, ბაგონებო? ამის ცოდვით ვკვდები. გაუთეთრდა კული და ძვირფასი თმები. როგორ შეიძლება, ვფიქრობ დღე და ღამე, რომ ამ მშვიდმა მელამ ჩაიდინოს რამე! ის არ ერჩის არვის, ის არ არის მხეცი, განთქმულია მისი დიდებული ბეწვი.



— რას დააჯიროთებენ ამ ცხენებს ეს ქალები?  
— ახალ სახლებს სასრობები არა კავთ და სარმცხს აპრობენ!

# "რა ჩემი საქმეა!"

ვისაც დღეს უნდა შეგებოთ,  
ჩვენშია, სადღაც აქვეა,  
მისი ცხოვრების დევიზი  
გახლავთ: „რა ჩემი საქმეა!“

ყველა სიკეთით სარგებლობს,  
ჩვენსავით მოქალაქეა,  
საერთო საქმეს გაურბის,  
ყვირის: „რა ჩემი საქმეა!“


ისე კი უყვარს ტრაბახი,  
მკვებარაა და ბაქია,  
ლხინში მარჯვეა, ჭირში კი  
შორს დგას... „რა ჩემი  
საქმეა!“

მის წინ რომ კაცი კაცს ჰკლავდეს,  
არც კი იკითხავს: „რა ჰქვია“?  
მოწმედ რომ დაასახელო,  
გარბის: „რა ჩემი საქმეა!“

კაცი კი არა, ცხოვრების  
უსახო, მრუდუდ სარკეა,  
გულწასულს წყალს არ მიაწვდის,  
იტყვის: „რა ჩემი საქმეა!“

მე მითქვამს ჩემი სათქმელი,  
ეს ფელეტონიც აქვეა,  
ვინც აქ საკუთარ თავს იცნობს,  
იცნოს, რა ჩემი საქმეა!

ბრიგოლ ჩიქვილაძე



— აფსუს, ჩვენ „სასიკვდილო“ უნდა გვერქვას, კვას — „სი-  
ცოცხლე“?

სულ პატარას რაღაც  
ჩიჩია ხორცს ციცქნავს.  
მერე რაა, ქათამს  
ადამიანიც კლავს.  
თვით შენვედეთ. საწყალს,  
დაემსგავსა სანთელს.  
ძიებაში ნაღდად  
შეუთითხნეს საქმე.  
პროკურორი ჯიქი  
თვალეებს მწყურალად ქაჩავს:  
„თქვენ ამბობთ, რომ არსი  
აქ მკვლელობის არ ჩანს?  
მაშ, ვთხოვ სასამართლოს,  
რომ დასტური მომცეს,  
მონადირეს უხმეთ,  
ამ ამბავის მოწმეს!“  
ეკითხება ჭაბუკს  
სირაქლემა დინჯი:  
„ამ საქმის შესახებ  
გვითხარ, თქვენ რა იცით!“  
„მე ეს ვიცი კარგად,  
მე ეს დავინახე...“  
და ახსენებს სწორად  
ცოდვილ მელას სახელს:  
„მელას ჩაგონებით

განდა ლომის მსხვერპლი  
მუდამ უღალატო  
მედიდური ვეფხვი.  
მერე დაჭრილ ლომის  
აღსასრულიც დადგა,  
ყელში ეცა მგელი,  
თავში დაჰკრა დათვმა.  
ამით არ დასრულდა  
ცბიერება მათი,  
ძმობას დანდობილი  
ცეცხლში დაწვეს დათვი.  
მელამ ბოლოს მაინც  
თავის მზაკვრულ ხელით  
საწამლავის ძალით  
მოჰკლა მთვრალი მგელიც.“  
„შენ ეს ნახე თვითონ,  
ნახე შენის თვალით  
და ამის შესახებ  
არ აცნობე არვის?“  
„მეშინოდა ლომის,  
მეშინოდა მგელის  
და ამიგომ ვერსად  
ვერ ვთქვი ვერაფერი.  
ახლა წასულია  
საიქიოს ყველა

და მართლმსაჯულებას  
გაუთოკავს მელა.  
მეც არ მეშინია,  
ამოვიდგი ენა!“  
ყვირის სირაქლემა:  
„მე ვუცხადებ პროცესს,  
შენ ხარ დამნაშავე,  
შენ არა ხარ მოწმე!  
პასუხს აგებ ახლა  
საკუთარი სისხლით.  
დამნაშავე შენ ხარ,  
ვერაფერი გისნის!“  
გულმოსული ჯიქიც  
აკრატუნებს კბილებს...  
მელას გვერდით უშალ  
დასვეს მონადირეც.  
გახიზარა მელამ:  
„მოსახდენი მოხდეს,  
თუკი მე დამხვრევენ,  
ეს ორგულიც მოკვდეს!“  
დაიკარგა კაცი  
და სიმართლევ მისი.  
მელა თუ დახვრიტეს,  
ეს კი ღმერთმა იცის.  
ოთარ მამფორია

მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმვაძე

სარედაქციო კოლეგია:  
ზ. გოლგვაძე (პ/მზ. მდივანი),  
ს. კლდიაშვილი,  
ნ. მაღალონი,  
ბ. ნიუნანიძე (მთავ. რედ. მოადგილე),  
ნ. შველიძე,  
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის უზრუნველყოფის „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.  
თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი».  
ბმლ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.  
საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-ლოგა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გალავნა ასაწყობად 25/VII-70 წ.  
ხელმოწერილია დასა-ბამად 22/VII-70 წ.  
ქალაქის ზომა 70x108 1/8.  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-ცელი 1,  
პროგრამითი ნაბეჭდი ფურ-ცელი 1.4.  
საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-ლოგის სტამბა,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ  
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-НА № 14  
შპპ. № 2016.  
შე № 02130.  
ტირაჟი 130.700.

1970

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნ.ბ. ბ. ლომიძისა



-- დავიბენი, ვეღარ გავიგებია, რომლის თანამგზავრი ვარ?!